საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №56/ნ
2017 წლის 20 მარტი

ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011; სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (დანართი №1) მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 28-ე პუნქტი:

„28. 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტთა მიღების მიზნით საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია 2017 წლის 15 მარტის ჩათვლით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ანკეტაში საგანმანათლებლო პროგრამის დასამატებლად. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ამოწმებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეს და 2017 წლის 24 მარტის ჩათვლით უგზავნის მას ცენტრს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **ალექსანდრე ჯეჯელავა**